კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობები

2018-2019 წწ.

2018 წლის 17 მაისი, „სოლიდარობის ქსელი - მშრომელთა ცენტრი“

„სოლიდარობის ქსელი - მშრომელთა ცენტრის“ ინიციატივით, კოლეჯში სამუშაო შეხვედრა გამართა პარლამენტის წევრმა ბექა ნაცვლიშვილმა. სემინარში აქტიური მონაწილეობა კოლეჯის ადმინისტრაციამ, პედაგოგებმა და სტუდენტებმა მიიღეს. სამუშაო შეხვედრა რამდენიმე კომპონენტისგან შედგებოდა და მოიცავდა როგორც პრეზენტაციას, ასევე თემატურ დისკუსიებს პენსიის შესახებ კანონის ახალ ინიციატივებთან დაკავშირებით. სემინარის მიზანი იყო დაინტერესებულ პირთათვის, პენსიის შესახებ კანონის პრაქტიკულ გამოყენებაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა. ასევე, სამოქალაქო ჩართულობის სხვადასხვა შესაძლებლობების გაცნობა საკანონმდებლო ინიციატივათა პროცესში.

2018 წლის 4 სექტემბერი, გერმანელი კოლეგების სტუმრობა

კოლეჯმა უმასპინძლა გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ დელმენჰორსტის „პროფესიული განათლების სკოლა II“ დირექტორს ულიჰ დროსთს, ქალაქ ოლდენბურგის პროფესიული განათლების სკოლის „ეკონომიკური სამართლის ადმინისტრაცია - ევროპული სკოლა“ დირექტორს ოლივერ ფუნდტს და ეკონომიკის პედაგოგს ტატიანა ლაბოჰმს. ვიზიტის მიზანი იყო, უცხოელი კოლეგები გაცნობოდნენ კოლეჯს და ესაუბრათ მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობებზე.

2018 წლის 22 ოქტომბერი, „ღია კარის დღე“

კოლეჯში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრირებულთათვის გაიმართა „ღია კარის“ დღე. შეხვედრაზე აპლიკანტებს მიეწოდათ ინფორმაცია პროფესიული ტესტირებისა და ჩარიცხვის შემდგომი პროცედურების, დაფინანსების მოპოვებისა და სხვა საინტერესო დეტალების შესახებ. ასევე გაეცნენ კოლეჯის პროფილს, პროგრამებს, აუდიტორიებსა და სახელოსნოებს, ინფრასტრუქტურას, პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს და სხვა. სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ პროფესიული ტესტების ნიმუშებს, ტესტირების პირობებსა და მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო საკითხებზე.

2018 წლის 22 ოქტომბერი, ვიდეორგოლის გადაღება

საგანმანათლებლო პორტალის edu.aris.ge-ის მიერ განხორციელდა სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ შესახებ ვიდეო რგოლის გადაღება.

2018 წლის 4 დეკემბერი, „დაჩექინდი“

კოლეჯმა უმასპინძლა საგანმანათლებლო პორტალ EDU.ARIS.GE-ის პრეზენტაციას. პრეზენტაციის თემა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის გაზრდას და სტუდენტთა დასაქმების გამარტივებას ეხებოდა.

უფრო კონკრეტულად, პრეზენტაციის ფარგლებში სასწავლებლის სტუდენტები გაეცნენ EDU.ARIS.GE-ზე პროფესიული განათლებისთვის შექმნილ ახალ გვერდს – https://edu.aris.ge/tvet/, რომელზეც ამჟამინდელ და ყოფილ სტუდენტებს საშუალება აქვთ „დაჩექინდნენ“ და სურვილის შემთხვევაში, ატვირთონ საკუთარი CV პოტენციური დამსაქმებლებისთვის.

შეხვედრაზე ასევე გაიმართა კოლეჯის შესახებ გადაღებული ვიდეოკლიპის პრეზენტაცია.

2018 წლის 11 დეკემბერი, სისხლის ჩაბარების აქცია

„გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი" სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ შეუერთდა სისხლის უანგარო დონორის აქციას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, ისე პედაგოგებმა და სტუდენტებმაც.

2018 წლის 19 დეკემბერი, KLETT-GRUPPE

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის დახმარებით, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მასპინძლობას უწევდა გერმანული კომპანია KLETT-GRUPPE-ის

წარმომადგენლებს. კომპანია ძირითადად საქმიანობს საგამომცემლო სფეროში, თუმცა, ახორციელებს სხვადასხვა საგანმანათლებლო და სასწავლო მიმართულებებსაც. სხვადასხვა ქვეყნებში აფუძნებს სასწავლო ცენტრებს ან თანამშრომლობს იქაურ საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან. აღნიშნული შეხვედრა ემსახურებოდა საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის გაცნობას. საუბარი შეეხო მექატრონიკის, საწარმოო ავტომატიკის პროგრამების განვითარებას, დუალურ პროგრამებს, მასწავლებელთა გადამზადებას და ა.შ. კომპანიის წარმომადგენლები გაეცნენ პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს, პროფესიული ტესტირებისა და ჩარიცხვის პროცედურებს, დაფინანსების მოპოვების რეგულაციებს. შეისწავლეს დაწესებულების პროფილი, სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამები და დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აუდიტორიები და სახელოსნოები.

2019 წლის 13 თებერვალი, CIC

კოლეჯი მასპინძლობდა კანადის კოლეჯებისა და ინსტიტუტების ასოციაციის (CIC) წარმომადგენლობას ვიცე-პრეზიდენტის ALAIN ROY-ის ხელმძღვანელობით. ასოციაცია 1972 წლიდან ეწევა საგანმანათლებლო საქმიანობას პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროში. აღნიშნული შეხვედრა ემსახურებოდა საქართველოში პროფესიული განათლების სისტემის გაცნობას. საუბარი შეეხო მექატრონიკის, საწარმოო ავტომატიკის პროგრამების განვითარებას, დუალურ პროგრამებს, მასწავლებელთა გადამზადებას და ა.შ. კომპანიის წარმომადგენლები გაეცნენ პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებს, პროფესიული ტესტირებისა და ჩარიცხვის პროცედურებს, დაფინანსების მოპოვების რეგულაციებს. შეისწავლეს დაწესებულების პროფილი, სასწავლო პროცესი, საგანმანათლებლო პროგრამები და დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აუდიტორიები და სახელოსნოები. მხარეებმა გამოთქვეს ინიციატივა მსგავსი შეხვედრების ორგანიზებისა და ურთიერთთანამშრომლობის გაგრძელების შესახებ.

2019 წლის 22-23 თებერვალი, საერთაშორისო გამოფენა

საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიას" მე-11 პავილიონში მოეწყო უმაღლესი და პროფესიული განათლების მე-9 საერთაშორისო გამოფენა, სადაც მსოფლიოს 100-მდე საგანმანათლებლო დაწესებულება იღებდა მონაწილეობას, მათ შორის სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“. ფესტივალის ფარგლებში, მოეწყო საგამოფენო სივრცე, სადაც მისულ დამთვალიერებლებს სტუდენტების ნამუშევრების ხილვა და პროფესიულ პროგრამებზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეეძლოთ.

2019 წლის 3 მარტი, დედის დღე

კოლეჯი მასპინძლობდა თბილისის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, გულია გოცირიძის ინიციატივით დაგეგმილ, დედის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას. ღონისძიებაში გლდანში მცხოვრები მრავალშვილიანი დედები, პოეტი, ექიმი, პედაგოგი, მუსიკოსი, სხვადასხვა დარგში მოღვაწე წარმატებული ქალბატონები მონაწილეობდნენ, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით წარსდგნენ საზოგადოების წინაშე.

2019 წლის 15 მარტი, „რა? სად? როდის?“

კოლეჯში, გლდანის რაიონის გამგეობის მხარდაჭერით, გაიმართა ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაში "რა? სად? როდის?", რომელშიც კოლეჯის სტუდენტებისგან შემდგარი 8 გუნდი იღებდა მონაწილეობას. გაზაფხულის სეზონის გამარჯვებული გახდა ბუღალტრებისგან შემდგარი გუნდი - „ტვინის ჭუკნები”, რომელმაც ღირსეულად მოიპოვა ტურნირის გარდამავალი პრიზი - ბუს ქანდაკება, დანარჩენ გუნდებს კი - გულშემატკივართა აპლოდისმენტები ერგოთ. კოლეჯი მუდმივად სთავაზობს სტუდენტებს მსგავს ღონისძიებებს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით.

2019 წლის 26 მარტი, „ვორქშოფი“

კოლეჯის სტუდენტებისთვის გაიმართა WORKSHOP: „პროდუქტის და სერვისის შექმნის ინოვაციური მეთოდოლოგია, რომელიც ჩატარდა აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით, კალიფორნიის უნივერსიტეტის, დევისის D-Lab-თან პარტნიორობითა და ევროპული სამეწარმეო კომპეტენციის ჩარჩოს პრინციპების დანერგვის მიზნით. 2 საათიანი „ვორქშოფის“ დროს, მონაწილეებმა გაიარეს სრული პროცესი ინტენსიური, ინტერაქტიული და სახალისო აქტივობების სახით.